საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ლავრენტი მაღლაკელიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**18**	**20**
წერის უნარი	**18**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**95**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ლავრენტი მაღლაკელიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - ლავრენტი მაღლაკელიძე.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.4. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

<u>I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:</u>

სახელი, გვარი: **ლავრენტი მაღლაკელიძე**

ასაკი: **40 წლის**

დაბადების თარიღი: **30 ოქტომბერი, 1980 წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული; დოქტორის აკადემიური ხარისხი 2013 წ. ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი (გერმანია) – დოქტორის აკადემიური ხარისხი (2012წ.)**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **15 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე**

<u>II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

<u>1. პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელი</u>

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. უთითებენ რომ, კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი. აქვს სამართლებრივი დასაბუთების მაღალი დონე. გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: კეთილსინდისიერებას, ეთიკურობის მაღალ სტანდარტს, სიმშვიდეს, პროფესიონალიზმს, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მის მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება ქრესტომათიული ხასიათისაა და ისწავლება, გაირჩევა სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში და განიხილება აკადემიურ კონფერენციებზე. რეკომენდატორები კანდიდატის სისუსტედ და ნაკლოვანებად უთითებენ ოდნავ მოჭარბებულ თვითკრიტიკას.

- გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად; რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

- ლავრენტი მაღლაკელიძეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანონის მოთხოვნის დარღვევის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, ლავრენტი მაღლაკელიძის მიმართ არ ფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

წარმოდგენილი და მოძიებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი, როგორც მოქალაქე და როგორც მოსამართლე, გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, არის მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელი, საკუთარ ვალდებულებებს ახორციელებს მაღალი პასუხისმგებლობით და არ არსებობს მის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის საფუძველი, შესაბამისად, **მითითებულ მახასიათებელში კანდიდატს ვაფასებ დადებითად.**

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან,

გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხებიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ იგი აზრის გამოხატვის პროცესში არის ღია და გახსნილი. გააჩნია პიროვნული სიმყარე. არ განიცდის შიშს კრიტიკის მიმართ, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციით, ლავრენტი მაღლაკელიძე მხარედ წარმოდგენილი არ ყოფილა.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ლავრენტი მაღლაკელიძე დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი იყო კორექტული, იცავდა ეთიკის ნორმებს, იყო მშვიდი, გაწონასწორებული. არაეთიკური ან არაკორექტული ქცევა მისი მხრიდან არ გამოვლენილა, ასევე მსგავსი ინფორმაცია კანდიდატთან მიმართებაში წარმოდგენილი არ ყოფილა, **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით კოლეგებს შორის. გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად, ისინი ყურადღებას ამახვილებენ კანდიდატის სამართლიანობაზე, კეთილსინდისიერებაზე, კომპეტენტურობაზე, კოლეგიალურობაზე, პრინციპულობაზე და ა.შ., **რაც მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.**

5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი არ იქნა ის შესაძლო საფრთხეები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის რეპუტაცია და ავტორიტეტი. ამდენად, ამავე მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს დადებითად.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის, ლავრენტი მაღლაკელიძის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებელი

ჩემ მიერ შეფასებულია ლავრენტი მაღლაკელიძის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 20 ოქტომბრის განაჩენი, ოთხი ბრალდებულის მიმართ, კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 7 ნოემბრის განაჩენი. კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

გავეცანი კანდიდატის სამეცნიერო/სხვა სახის შემდეგ პუბლიკაციებს:

- რეცენზია სადისერტაციო ნაშრომზე: „სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება სისხლის სამართლის პროცესში (ქართული და გერმანული სამართის მიხედვით).

- დასკვნა დოქტორანტის კოლოქვიუმის თემაზე: "გაუფრთხილებლობის ფსიქოლოგიური ასპექტები".
- „ნასამართლობა, როგორც ქმედების შემადგენლობის დამაფუძნებელი გარემოება და მისი გაქარწყლების პრობლემა დანაშაულთა ერთობლიობის დროს", ლ. მაღლაკელიძე 2020წ.
- „ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე", 2019წ.

ასევე გავაანალიზე გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები და მიმაჩნია, რომ ლავრენტი მაღლაკელიძე ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, იცნობს გერმანულ კანონმდებლობას, სამოსამართლო საქმიანობაში სწორად იყენებს პრეცედენტულ სამართალს, სისხლის სამართალს იცნობს დოქტრინალურ დონეზე, რაც, ვფიქრობ, განაპირობებს მის სურვილს, უზენაეს სასამართლოში არჩევის შემთხვევაში, იმუშაოს მხოლოდ სისხლის სამართლის პალატაში.

გასაუბრების ეტაპზე, კანდიდატმა კვალიფიციურად მიმოიხილა მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემური საკითხები, ამ მიმართულებით მიმოიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

შეკითხვაზე: არის თუ არა სამოსამართლო სამართალი სამართლის წყარო, კანდიდატმა დამაჯერებლად მიმოიხილა კონტინენტური და ანგლო-ამერიკული სამართალი.
სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე, კანდიდატმა მაღალკვალიფიციურად და სიღრმისეულად გასცა პასუხი, განიხილა სისხლის სამართლის პროცესის მოდელები და მათ ფარგლებში შეჯიბრებითობის პრინციპის როლი. ასევე დასაბუთებისას მოიყვანა პრაქტიკული მაგალითები ქართული სასამართლო პრაქტიკიდან.

სიცოცხლის უფლებაზე, მათ შორის, ევთანაზიაზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატი პასუხის გაცემისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ საქმეებს, მან ასევე გააანალიზა სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით, მიმოიხილა ქართული კანონმდებლობა.

დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებით, კანდიდატმა სრულყოფილად გააანალიზა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მიმოიხილა საქმეები, მათ შორის, საქმე საქართველოს წინააღმდეგ, გაიხსენა სასამართლოს მიერ გამოყენებული ტესტები.

ტრაგიკული კოლიზიის თაობაზე დასმულ შეკითხვაზე კანდიდატმა პასუხი გასცა სიცოცხლის უფლებასთან მიმართებაში, მოიყვანა კონკრეტული შემთხვევები, შეაპირისპირა ასევე მორალურ ღირებულებებთან.

კანდიდატმა დამაჯერებლად განმარტა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მნიშვნელოვანი ასპექტები.

გასაუბრების პროცესში კანდიდატის მიერ გაცემული თითქმის ყველა პასუხი მიუთითებდა მის პროფესიონალიზმსა და ერუდირებულობაზე. კანდიდატმა გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე კრიტიკული ანალიზის უნარი. იყო მკაფიო და დამაჯერებელი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 19 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებელი

კანდიდატს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის ოთხ წლიანი გამოცდილება. მისი გადაწყვეტილებები არის დასაბუთებული და დამაჯერებელი. გადაწყვეტილების წერის პროცესში დაცულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ მახასიათებელში კანდიდატი უნდა შეფასდეს - **18 ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატის წერის მახასიათებელი შევაფასე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი განაჩენებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების შესწავლის საფუძველზე და ვთვლი, რომ კანდიდატი განაჩენებში ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, აქვს წერის მარტივი სტილი, რაც მის ნაწერს მხარეებისთვის ქმნის აღქმადს. პუნქტუაციისა და მართლწერის წესები ძირითად დაცულია. ასევე წერის საკმაოდ მაღალი კულტურაა დაცული სამეცნიერო პუბლიკაციებში.
აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **18 ქულით.**

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად, გამოირჩევა საუბრის აკადემიური სტილით, გააჩნია მოსმენის კულტურა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, ლავრენტი მაღლაკელიძის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 98,5%; შეცვლილი -1,5%
- საანგარიშო პერიოდში (1010 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 645 საქმე, დღეში საშუალოდ 0,6 საქმემდე.

აღნიშნული ინფორმაცია ადასტურებს, რომ კანდიდატი სწორად ახორციელებს საქმეთა ნაკადის მართვას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც იგი პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, უძღვება სალექციო კურსს და აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტიპის ლექცია/სემინარებს.

პროცესის მონაწილეთა მიმართ კანდიდატის მხრიდან არაჯეროვანი დამოკიდებულება არ გამოვლენილა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **15 ქულით.**

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ მიუხედავად საქმეთა სიმრავლისა, კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანდიდატი მიღებულ ცოდნას იყენებს როგორც სამოსამართლო, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **5 ქულით.**

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში, არის ავტორი რამდენიმე სამართლებრივი ნაშრომის, რომელიც გამოყენებადია როგორც პრაქტიკოსი, ისე თეორეტიკოსი იურისტებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **5 ქულით.**

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 95 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.